სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„--04--“----03----“ 2015 წელი

ეგზ N1

სსიპ “ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი“

2012 და 2013 წლების 31 დეკემბერით დასრულებული საანგარიშო პერიოდებისათვის
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში №23/00

თბილისი, 2015 წელი

შინაარსი

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე 3

1. ზოგადი ინფორმაცია 4

2. პირდაპირი გადარიცხვები 5

3. შრომის ანაზღაურება და გაცემული მატერიალური დახმარებები 7

4. პრემიების შესახებ 7

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის“ (“ცენტრი”) 2012 და 2013 წლების განმავლობაში განხორციელებული საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობის მოქმედ კანონმდებლაბასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ცენტრის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2012 და 2013 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ცენტრის 2012 და 2013 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტორის პასუხისმგებლობაა აუდიტი დაგეგმოს და ჩაატაროს იმდაგვარად, რომ მიიღოს საკმარისი და შესაფერისი რწმუნება მოსაზრების გამოსახატავად. აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვენლოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, ცენტრის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

2012 და 2013 წლის მთავრობის განკარგულებებით[1] ცენტრის დირექტორის თანამდებიბრივი სარგო განისაზღვრა 3,290 ლარით, შტატით გათვალისწინებული თანმშრომელთა საშუალო სარგო შესაბამისად განისაზღვრა არაუმეტეს 1,931 და 2,097 ლარისა, ჯამში 2012 წელს - 370,684, ხოლო 2013 წელს 327,780 ლარი.

ცენტრის თანამშრომელთა გარკვეულ ნაწილთან გაფორმებულია საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულებები, რომლის ფარგლებშიც დამატებით გარდა ზემოთ აღნიშნული მთავრობის განკარგულებით განსაზღვრული სახელფასო ოდენობებისა, მიღებული აქვთ სულ 2012 წელს 65,057 ლარი, ხოლო 2013 წელს 115,200 ლარი.

[1] 2012 წლის 18 იანვრის N35 განკარგულება

1. ზოგადი ინფორმაცია

სსიპ „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი“ წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, შექმნის შესახებ 2000 წლის 21 აპრილს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №161, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საპრობლემო ცენტრის ბაზაზე შეიქმნა „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი“, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი და მისი უფლებამონაცვლე. ცენტრის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.
ცენტრის ძირითად მიზნებსა და ფუნქციებს წარმოადგენს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებისა და სტაბილური ზრდის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.
ცენტრში საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (მსოფლიო ბანკი, აზიის განვითრების ბანკი, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო და ა.შ.) საინვესტიციო პროექტების განხორციელების საკონსულტაციო დახმარება.

ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. 1997 წლიდან ცენრტის დირექტორია გიორგი ცაგარელი. იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზზირი #12.

დაფინანსების წყაროები

ცენტრის დაფინანსების წყაროებს წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებდან მიღებული კრედიტები, სესხები, რომელთა დაბრუნებაზეც თავად სახელმწიფოა პასუხისმგებელი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიები.
ცენტრი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე ბუღალტრულ აღიცხვას აწარმოებს საკასო მეთოდით საჯარო სექტორის ბუღალტრული აღიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საკასო მეთოდის („სსბასს- საკასო მეთოდი“) შესაბამისად.

ცენტრი თავისი შინაარსით და ფუნქციონალურად ფაქტობრივად წარმოადგენს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ მენეჯმენტისა და მომსახურების განმახორციელებელ ორგანოს.

ცენტრი ბუღალტრულ ჩანაწერებს ახორციელებს საკასო მეთოდით, სადაც აკუმულირდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გაწეული ოპერაციები ხარჯების სუბსიდიების, მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდების, მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდების და წმინდა ღირებულების სახით, რომლის ნაწილის გადაცემას ელექტრონული ფორმით ახორციელებს ცენტრი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის. აღნიშნული ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გაცემა ასახულია 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმაN3-ში 151,961,408 ლარის ღირებულებით.

რეკომენდაცია N1

ცენტრი თავისი შინაარსით და ფუნქციურად წარმოადგენს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსური მენეჯმენტისა და მომსახურებობის ორგანოს. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილოს ცენტრის, ცალკე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი.

2. პირდაპირი გადარიცხვები

ლიმიტს ზევით თანხების გადარიცხვის შემთხვაში დონორი ორგანიზაცია სსიპ-ის გვერდის ავლით, პირდაპირ კონტრაქტორ ორგანიზაციასთან ახდენს ანგარიშსწორებას. თუ ხელშეკრულება მომწოდებელ ორგანიზაციასთან გაფორმებულია არა იმ ვალუტაში, რომელი ვალუტის ანგარიშიდანაც ირიცხება თანხა, დონორი ორგანიზაცია თავად ადგენს ვალუტებს შორის კურსს. პირდაპირი გადარიცხვების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა აქვს ფინანსთა სამინისტროს, რომელიც თავის მხრივ აღნიშნულ ოპერაციებს აღრიცხავს ეროვნულ ვალუტაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2012 წლის განმავლობაში დონორი ორგანიზაციის მიერ პირდაპირ კონტრაქტორთან გადარიცხული თანხები:

თარიღი	დასახელება	მოთხოვნილი თანხა (ლარი)	გადახდილი თანხა (დოლარი)	ეროვნული ბანკის კურსი	გადახდილი თანხა ლარში (ფინანსთა სამინისტრო)	ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით
		(1)	(2)	(3)	(4)=(2)x(3)	(5)
24-Dec-12	Sinohydro Corporation Limited	18,134,367	11,003,864	1.6545	18,134,367	18,205,893
20-Dec-12	Sinohydro Corporation Limited	967,737	586,507	1.6565	967,737	971,549
14-Mar-12	Sinohydro Corporation Limited	998,067	606,728	1.6515	998,067	1,002,011
15-Feb-12	Sinohydro Corporation Limited	1,697,053	1,028,517	1.6625	1,697,053	1,709,909
12-Apr-12	Sinohydro Corporation Limited	865,957	532,241	1.6390	865,957	872,343
4-Oct-12	Sinohydro Corporation Limited	1,424,628	866,035	1.6607	1,424,628	1,438,225
7-Aug-12	Sinohydro Corporation Limited	1,308,924	799,587	1.6495	1,308,924	1,318,918
27-Jun-12	Sinohydro Corporation Limited	1,145,244	703,467	1.6376	1,145,244	1,151,997
26-Jun-12	Sinohydro Corporation Limited	1,008,760	620,775	1.6381	1,008,760	1,016,892
19-Sep-12	Sinohydro Corporation Limited	1,183,411	723,799	1.6465	1,183,411	1,191,735

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2013 წლის განმავლობაში დონორი ორგანიზაციის მიერ პირდაპირ კონტრაქტორთან გადარიცხული თანხები:

თარიღი	დასახელება	მოთხოვნილი თანხა (ლარი, ევრო, დოლარი)	გადახდილი თანხა ვალუტაში	ეროვნული ბანკის კურსი	გადახდილი თანხა ლარში (ფინანსთა სამინისტრო)	ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით
		(1)	(2)	(3)	(4)=(2)x(3)	(5)
29-Mar-13	Sinohydro Corporation Limited	556,298	336,681	1.6597	556,298	558,790
7-May-13	Sinohydro Corporation Limited	2,162,491	1,318,592	1.6483	2,162,491	2,173,435
17-Jun-13	Sinohydro Corporation Limited	966,659	587,635	1.6527	966,659	971,184
15-Jul-13	Sinohydro Corporation Limited	1,433,239	869,684	1.656	1,433,239	1,440,196
9-Sep-13	Sinohydro Corporation Limited	2,219,455	1,341,060	1.6625	2,219,455	2,229,513
26-Sep-13	Sinohydro Corporation Limited	459,694	276,924	1.6679	459,694	461,882
22-Oct-13	Sinohydro Corporation Limited	3,877,078	2,348,321	1.6636	3,877,078	3,906,667
23-Oct-13	Sinohydro Corporation Limited	1,612,650	976,772	1.6649	1,612,650	1,626,227
20-Nov-13	Sinohydro Corporation Limited	2,497,002	1,499,701	1.6751	2,497,002	2,512,149
12-Dec-13	Sinohydro Corporation Limited	579,061	341,026	1.7122	579,061	583,904
13-Dec-13	Sinohydro Corporation Limited	9,519,624	5,631,247	1.7123	9,519,624	9,642,385
14-Dec-13	Sinohydro Corporation Limited	€ 1,756,568	2,416,861	1.709	3,938,392	4,130,416
20-Oct-13	Dohwa Engereering Co. LTD	$103,638	103,638	1.6635	173,603	172,401

3. შრომის ანაზღაურება და გაცემული მატერიალური დახმარებები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2012 წლის განმავლობაში დარიცხული სახელფასო ხარჯის ანალიზი:

თანამდებობა	რაოდ.	დონორი	სახელწიფო ბიუჯეტი	სულ ხელფასი	საშუალო ხელფასი	პროც-ული შეფარდება
დირექტორი	1	31,584	7,896	39,480	3,290	16%
საფინანსო მენეჯერი	1	27,619	6,905	34,524	2,877	14%
თანამშრომლები	10	138,310	34,578	172,888	1,441	69%
შტატგარეშე მომუშავე	1	2,880	720	3,600	240	1%
სულ	**13**	**200,393**	**50,098**	**250,492**	**1,606**	**100%**

ცენტრის მიერ სოციალური დახმარებაზე ფულადი ფორმით ჯამში 2012 წელს გაცემულია 1,562.5 ლარი 1 თანამშრომელზე. აღნიშნული დახმარება გაიცა 2012 წლის დეკემბერში ოჯახური პირობების გამო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2013 წლის განმავლობაში სახელფასო ხარჯის ანალიზი:

თანამდებობა	რაოდ.	დონორი	სახელწიფო ბიუჯეტი	სულ ხელფასი	საშუალო ხელფასი	პროცენტული შეფარდება
დირექტორი	1	31,584	7,896	**39,480**	2,632	13%
საფინანსო მენეჯერი	1	27,619	6,905	**34,524**	2,302	11%
თანამშრომლები	10	183,437	45,859	**229,296**	1,849	75%
შტატგარეშე მომუშავე	1	2,880	720	**3,600**	240	1%
სულ	**13**	**245,520**	**61,380**	**306,900**	**1,967**	**100%**

ცენტრის მიერ სოციალური დახმარებაზე ფულადი ფორმით ჯამში 2013 წელს გაცემულია 2,877 ლარი 1 თანამშრომელზე. აღნიშნული დახმარება გაიცა 2013 წლის მარტში ოჯახური პირობების გამო.

4. პრემიების შესახებ

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2012 წლის განმავლობაში პრემიის ანალიზი:

თანამდებობა	რაოდენობა	გაცემული პრემია	პროცენტული შეფარდება
დირექტორი	1	23,030	22%
საფინანსო მენეჯერი	1	17,435	17%
თანამშრომლები	11	63,312	61%
სულ	**13**	**103,777**	**100%**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2013 წლის განმავლობაში პრემიის ანალიზი:

თანამდებობა	რაოდენობა	გაცემული პრემია	პროცენტული შეფარდება
დირექტორი	1	21,615	22%
საფინანსო მენეჯერი	1	2,827	3%
თანამშრომლები	11	74,162	75%
სულ	**13**	**98,604**	**100%**

სსიპ „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი“

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2012 და 2013 წლების 31 დეკემბერს

სსიპ „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის“ 2012 წლის შრომის ანაზღაურება და საპრემიო ფონდი განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის #35 განკარგულებისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2012 წლის 7 თებერვლის N245 წერილის საფუძველზე:

საშტატო განრიგით განსაზღვრული რაოდენობა	**მაქსიმალური თანამდებობრივი სარგო[2]**	**თანამდებობრივი სარგო[3]**	**პრემია[4]**	**სულ შრომის ანაზღაურების ფონდი**
16	1,931	370,684	103,791	474,475

ფაქტობრივი მონაცემებით:

საშტატო განრიგით განსაზღვრული რაოდენობა	**საშუალო ანაზღაურება**	**ანაზღაურება**	**პრემია**	**სულ**
16	1,631	312,849	103,791	416,640

2012 წელთან მიმართებაში სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის მიერ გაწეული შრომის ანაზღაურების ხარჯები შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის #35 განკარგულებასა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2012 წლის 7 თებერვლის N245 წერილით განსაზღვრულ ნორმებთან.

სსიპ „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის“ 2013 წლის შრომის ანაზღაურება და საპრემიო ფონდი განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის #2090 განკარგულებისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2012 წლის 31 დეკემბრის N3012/გ წერილის საფუძველზე:

საშტატო განრიგით განსაზღვრული რაოდენობა	**მაქსიმალური თანამდებობრივი სარგო[5]**	**თანამდებობრივი სარგო[6]**	**პრემია[7]**	**სულ შრომის ანაზღაურების ფონდი**
14	2,097	352,260	98,633	450,893

[2] მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის N35 განკარგულებით

[3] საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2012 წლის 7 თებერვლის N245 წერილით

[4] მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის N35 განკარგულებით და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2012 წლის 7 თებერვლის N245 წერილით

[5] მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის N2090 განკარგულებით

[6] საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2012 წლის 31 დეკემბრის N3012/გ წერილით

[7] მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის N2090 განკარგულებით და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2012 წლის 31 დეკემბრის N3012/გ წერილით

ფაქტობრივი მონაცემებით:

საშტატო განრიგით განსაზღვრული რაოდენობა	**საშუალო ანაზღაურება**	**ანაზღაურება**	**პრემია**	**სულ**
14	2,491	418,500	98,605	517,105

2013 წელს შტატიან თანამშრომლებისთვის ანაზღაურებული 418,500 ლარი მოიცავს, როგორც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმებულ თანამდებობრივ სარგოებს, ასევე საკონსულტაციო მომსახურებისთვის ანაზღაურებულ თანხებს (115,200 ლარი). თანამდებობრივი სარგოს ფარგლებში ანაზღაურებულია მსოფლიო ბანკის სრული და აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებული შრომის ანაზღაურების ნაწილი, ხოლო საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, დამატებით ანაზღაურებულია მხოლოდ აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებული თანხები, მაშინ როდესაც საკონსულტაციო და შტატით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები ფაქტობრივად არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

როგორ აღვნიშნეთ, სამინისტროსთან შეთანხმებული თანამდებობრივი სარგოები მოიცავს აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებულ შრომის ანაზღაურების ნაწილს, ხოლო ნაწილი დაიფარა საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, რითაც მთავრობის განკარგულებით დამტკიცებულმა თანამდებობრივი სარგოების ზღვრულმა ოდენობებმა დაკარგა მნიშვნელობა.

იმ შემთხვევაში, თუ ცენტრი საკონსულტაციო მომსახურებაში ანაზღაურებულ თანხებს ასახავდა თანამდებობრივ სარგოში, მისი საშუალო თანამდებობრივი სარგო, ნაცვლად მთავრობის განკარგულებით განსაზღვრული 2,097 (მაქსიმალური თანამდებობრივი სარგო) ლარისა იქნებოდა 2,491 ლარი.

აუდიტორთა ხელმოწერა:

(უფროსი აუდიტორი)

ნათია გამყრელიძე

(აუდიტორი)

თეონა ავალიანი